საქართველოს მომავალი
კვლევის ანგარიში

CRRC საქართველო

2021

სარჩევი

დიაგრამები	2
შეჯამება	4
შესავალი	7
მეთოდოლოგია	8
შედეგები	10
ეთნიკური იდენტობის ნაირსახეობები	10
დამოკიდებულებები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ	23
დამოკიდებულებები დასავლეთის მიმართ	26
დამოკიდებულებები უახლესი ისტორიის მიმართ	32
დასკვნა	45

დიაგრამები

გრაფიკი 1: გამოკითხვის მახასიათებლები 8
გრაფიკი 2: ეროვნული იდენტობა და ეთნიკური წარმომავლობა 10
გრაფიკი 3: საკითხების მნიშვნელობა 11
გრაფიკი 4: ენა და რელიგია, როგორც მოქალაქეობის მანიშნებლები 12
გრაფიკი 5: მოქალაქეობის აღქმის ინდექსი 13
გრაფიკი 6: განსხვავებული ჯგუფისთვის ხმის მიცემის ინდექსი 14
გრაფიკი 7: განსხვავებული ჯგუფისთვის ხმის მიცემის ინდექსი ეთნიკური წარმომავლობის, განათლების და იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მიხედვით 15
გრაფიკი 8: ეთნიკური წარმომავლობა და კონფლიქტები 16
გრაფიკი 9: ეთნიკური წარმომავლობა და კონფლიქტი დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით 17
გრაფიკი 10: უმცირესობები, როგორც საფრთხე დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით 18
გრაფიკი 11: დამოკიდებულებები სერვისების მიწოდების მიმართ 19
გრაფიკი 12: დამოკიდებულებები უმცირესობების წარმომადგენელი და ქალი დეპუტატების მიმართ 20
გრაფიკი 13: მეტი ქალის, ლგბტ თემის და უმცირესობების წარმომადგენლების ყოლა პარლამენტში დადებითი მოვლენაა თუ არა? 21
გრაფიკი 14: მეტი ქალი დეპუტატის ყოლის გავლენა ქვეყანაზე სოციალური და დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით 21
გრაფიკი 15: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი დეპუტატების ოდენობის ზრდის გავლენა ქვეყანაზე სოციალური და დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით 22
გრაფიკი 16: ლგბტ თემი წარმომადგენლების ზრდის გავლენა ქვეყანაზე სოციალური და დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით 23
გრაფიკი 17: დამოკიდებულებები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული იურიდიული სტატუსის მიმართ 24
გრაფიკი 18: დამოკიდებულებები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ 25
გრაფიკი 19: საქართველოს ყველაზე ახლო მოკავშირეები 27
გრაფიკი 20: აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი თუ ნატო და ევროკავშირი? 28
გრაფიკი 21: საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის ხელშემწყობი და ხელშემშლელი მოვლენები 29
გრაფიკი 22: უქმნის თუ არა ევროკავშირი საფრთხეს ქართულ ტრადიციებს? 30
გრაფიკი 23: ევროკავშირში შემდგომი ინტეგრაციის შესაძლო შედეგები 31
გრაფიკი 24: ევროკავშირში შემდგომი ინტეგრაციის შესაძლო შედეგების აღქმის ინდექსი 32
გრაფიკი 25: დამოკიდებულებები 9 აპრილის მიმართ 33
გრაფიკი 26: სხვადასხვა ჯგუფების დამოკიდებულება 9 აპრილის მიმართ 33
გრაფიკი 27: დამოკიდებულებები საბჭოთა კავშირის დაშლის მიმართ 34
გრაფიკი 28: დამოკიდებულებები კონფლიქტების მიმართ 35
გრაფიკი 29: 2008 წლის ომის შედეგები 36

გრაფიკი 30: დამოკიდებულებები გამსახურდიას მმართველობის მიმართ 37
გრაფიკი 31: დამოკიდებულებები გამსახურდიას მმართველობის მიმართ სოციალური და დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით 37
გრაფიკი 32: შევარდნაძის მმართველობის წარმატებები 38
გრაფიკი 33: შევარდნაძის მმართველობის წარუმატებლობები 39
გრაფიკი 34: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმატებები.....40
გრაფიკი 35: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარუმატებლობები.....41
გრაფიკი 36: „ქართული ოცნების“ წარმატებები 42
გრაფიკი 37: „ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი წარუმატებლობები.....43
გრაფიკი 38: შეხედულებები მსოფლიოში საქართველოს როლის შესახებ.....44

შეჯამება

ეს ანგარიში მიმოიხილავს კვლევის მიგნებებს, რომელიც ჩატარდა პროექტისთვის „საქართველოს მომავალი.“ პროექტის ზოგადი მიზანია, შეისწავლოს, თუ რა მიმართულებით მიდის საქართველო. ამ მიზნით მასში მოცემულია საქართველოს მოქალაქეთა რიგი მიმდინარე და ახლო წარსულში მომხდარი საკითხების მიმართ დამოკიდებულების ანალიზი. კვლევა მოიცავს შემდეგ თემებს: ეთნიკური იდენტობა და ტოლერანტობა ეთნიკური ჯგუფების მიმართ; საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი საზოგადოებაში; დამოკიდებულებები ახლო წარსულში მომხდარი მოვლენების მიმართ; და შეხედულებები დასავლეთის შესახებ. კვლევის ფინანსური მხარდამჭერია შვედეთის სამეფო. პროექტს ახორციელებენ კარნეგის ევროპის ფონდი და ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი.

ამ კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვა წარმომადგენლობითია საქართველოს სრულწლოვანი მოსახლეობისთვის - კვლევამ 1928 რესპონდენტი მოიცვა. გამოკითხვის ცდომილების საშუალო ზღვარია 2.2%, ხოლო გამოპასუხების მაჩვენებელი - 32%. გამოკითხვა ჩატარდა 2020 წლის 10-28 სექტემბერს.

კვლევის ფარგლებში შეგროვებული მონაცემები იძლევა რიგი დასკვნების გაკეთების საშუალებას, რაც პროექტის ინტერესის სფეროებს უკავშირდება.

ეთნიკური იდენტობის ნაირსახეობები

მოსახლეობის უმეტესობა ამბობს, რომ ისინი საკუთარ თავს, პირველ რიგში, საქართველოს მოქალაქედ აღიქვამენ. გამოკითხულთა უმრავლესობა უფრო მეტად დაინტერესებულია ეროვნული საკითხებით, ვიდრე ადგილობრივი, რეგიონული და საერთაშორისო საკითხებით. გამონაკლისია ეთნიკური უმცირესობები, რომლებსაც უფრო მეტად ადგილობრივი საკითხები აინტერესებთ.

ლინგვისტურ საკითხებთან დაკავშირებით, მონაცემები აჩვენებს, რომ, უმრავლესობის აზრით, საჯარო სამსახურში მუშაობის მსურველი ქართულად უნდა საუბრობდეს. ასევე უმრავლესობის აზრით, საქართველოს მოქალაქეები ქართულად უნდა საუბრობდნენ. ცოტა თუ მისცემდა ხმას არჩევნებში კანდიდატს, რომელმაც ქართული არ იცის. უმრავლესობა მხარს არ უჭერს საგზაო ნიშნების დამონტაჟებას ეთნიკური უმცირესობების ენებზე ისევე, როგორც ეთნიკურ უმცირესობებს შორის სასამართლო დავების უმცირესობების ენებზე წარმართვას ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში. მოსახლეობა უფრო მეტად უჭერს მხარს სახელმწიფო სერვისების მიწოდებას უმცირესობების ენებზეც, ქართულ ენასთან ერთად. ზოგადად, ეთნიკური უმცირესობები უფრო მეტად გამოხატავენ უმცირესობების მხარდამჭერ შეხედულებებს, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა.

რაც შეეხება სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლობას პარლამენტში, უმრავლესობის აზრით, პარლამენტში უფრო მეტი ქალი უნდა იყოს. ამის საპირისპიროდ, უფრო ცოტა რესპონდენტს მიაჩნია, რომ კარგი იქნებოდა პარლამენტში ეთნიკური უმცირესობებისა და ლგბტ თემის უფრო მეტი წარმომადგენლის ყოლა.

უმრავლესობის აზრით, საქართველოში მომხდარი ომები მიუთითებს, რომ ეთნიკური უმცირესობები ქვეყნის უსაფრთხოებისთვის საფრთხეს წარმოადგენს. ამასთან, გაიყო მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, აჩვენა თუ არა საქართველოში მომხდარმა ომებმა, რომ ქართველები მეტად ტოლერანტულები უნდა იყვნენ.

დამოკიდებულებები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლის შესახებ დამოკიდებულებები საზოგადოებაში ძირითადად დადებითია. უმრავლესობა მხარს უჭერს მის განსაკუთრებულ იურიდიულ სტატუსს. მათი აზრით, მართლმადიდებელი ეკლესია მნიშვნელოვანია მათი ოჯახისთვის, იგი ქართული თვითმყოფადობის საფუძველს წარმოადგენს და ხელს უწყობს საქართველოში ზნეობრივი ღირებულებების შენარჩუნებას. მოსაზრებები იყოფა იმასთან დაკავშირებით, უწყობს თუ არა ეკლესია ხელს საქართველოს რუსეთთან დაახლოებას.

დამოკიდებულებები დასავლეთის მიმართ

საქართველოში უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქვეყნის დახმარება ყველაზე უკეთ დასავლეთს შეუძლია. შედარებით ნაკლები ადამიანი ფიქრობს, რომ საქართველოს დახმარება რუსეთის გარდა არცერთ ქვეყანას არ შეუძლია. ეთნიკური უმცირესობები უფრო მაღალი ალბათობით აცხადებენ, რომ საქართველოს მხარდაჭერა რუსეთს შეუძლია და ნაკლებიად ასახელებენ დასავლეთს.

უმრავლესობა მხარს უჭერს ევროკავშირში ინტეგრაციას. თუმცა, დიდ უმრავლესობას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნება ურჩევნია ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას. და მაინც, მოსახლეობის ნახევარი ტერიტორიულ პრობლემებს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების ხელშემშლელ ფაქტორად აღიქვამს. უმრავლესობას ევროკავშირში გაწევრიანებისათვის დაბრკოლებად რუსეთის ანტიდასავლური პროპაგანდაც მიაჩნია.

რაც შეეხება პოტენციურ მიზეზებს, რომელთა გამოც ევროკავშირთან ინტეგრაცია დადებით მოვლენად აღიქმება, საზოგადოება მკვეთრად დადებითად არის განწყობილი ამ პოტენციური მიზეზების უმეტესობის მიმართ. ყველაზე ხშირად აღინიშნა, რომ ქართველები უფრო მარტივად შეძლებენ ევროკავშირში წასვლას სასწავლებლად და სამუშაოდ და რომ ქვეყანა უფო ევროპული გახდება. ეს მიუთითებს, რომ მოსახლეობა

დაინტერესებულია როგორც კულტურული, ასევე ეკონომიკური ასპექტებით. ამავდროულად, ხუთიდან დაახლოებით ორი ადამიანი მიიჩნევს, რომ ევროკავშირი ქართული კულტურისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

დამოკიდებულებები უახლესი ისტორიის მიმართ

ქვეყნის სრული უმრავლესობა 9 აპრილის მოვლენებს ტრაგედიად აღიქვამს. თუმცა, ბევრი ფიქრობს, რომ ეს დადებითი მოვლენაც იყო, რადგან საქართველოს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვაში დაეხმარა. მოსახლეობა ასევე ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა დადებითი მოვლენა იყო, თუმცა, უფრო ღარიბი მოსახლეობა და ეთნიკური უმცირესობები ნაკლები ალბათობით აცხადებენ ამას. ამ კონტექსტში, საზოგადოება დადებითადაა განწყობილი ზვიად გამსახურდიას მიმართ.

კითხვაზე, თუ რა იყო ერთმანეთის მონაცვლე ხელისუფლებების ყველაზე დიდი წარმატება და წარუმატებლობა, საზოგადოებას ხშირად უჭირს, გაიხსენოს კონკრეტული რეფორმა ან მარცხი. ეს განსაკუთრებით შევარდნაძის ხელისუფლებას ეხება. მოსახლეობის აზრით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი წარმატებები კორუფციასთან ბრძოლა და ეკონომიკური ზრდა იყო, მისი ყველაზე დიდი წარუმატებლობა კი - ადამიანის უფლებების დარღვევები და 2008 წლის ომი. „ქართული ოცნების“ წარმატებებს შორის ყველაზე ხშირად ადამიანის უფლებები დასახელდა, მის უდიდეს წარუმატებლობად კი მოსახლეობა სუსტ ეკონომიკურ ზრდას მოიაზრებს.

შესავალი

პროექტის „საქართველოს მომავალი“ მიზანია, კრიტიკულად გააანალიზოს, თუ რა მიმართულებით მიდის საქართველო. პროექტი ამ მიზნის მიღწევას ქვეყნის ახლო წარსულის კრიტიკულად შესწავლისა და სხვადასხვა საკითხებზე არსებული შეხედულებების ანალიზის გზით ცდილობს. კვლევას შვედეთის სამეფო აფინანსებს, ხოლო ახორციელებს კარნეგის ევროპის ფონდი და ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი. პროექტის ფარგლებში, „CRRC-საქართველომ“ ჩაატარა წარმომადგენლობითი კვლევა მთელი ქვეყნის სრულწლოვანი მოსახლეობისთვის. ამ ანგარიშში წარმოდგენილია შეგროვებულ მონაცემთა ანალიზის მიგნებები.

პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, „CRRC საქართველოს“ მიერ ჩატარებული კვლევის მიზანია შემდეგი თემების შესახებ მონაცემებისა და მათი ანალიზის წარმოდგენა:

- ეთნიკური იდენტობა და ტოლერანტობა;
- რელიგიური იდენტობა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი საქართველოში;
- დამოკიდებულებები დასავლეთის მიმართ;
- დამოკიდებულებები უახლესი წარსულის მიმართ.

აღნიშნულ თემებზე მონაცემების მოსაპოვებლად „CRRC საქართველომ“ ჩაატარა მოსახლეობის გამოკითხვა, რომელიც მოიცავდა 1928 რესპონდენტს. გამოპასუხების მაჩვენებელი 32%, ხოლო ცდომილების საშუალო ზღვარი 2.2% იყო.

მოცემული ანგარიშის სტრუქტურა შემდეგია: მომდევნო ნაწილი კვლევის მეთოდოლოგიას აღწერს. შემდგომი ნაწილი კი, რომელიც უშუალოდ შედეგებს მიმოიხილავს, ოთხი ქვეთავისგან შედგება. აქედან, პირველი ეთნიკურ იდენტობასა და ტოლერანტობას შეეხება, მეორე წარმოადგენს მონაცემებს რელიგიური იდენტობისა და ქვეყანაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლის შესახებ, მესამე დასავლეთის მიმართ დამოკიდებულებებს ეძღვნება, ბოლო კი - უახლესი წარსულის შესახებ დამოკიდებულებებს. ანგარიში სრულდება ძირითადი დასკვნებით. გამოკითხვისას გამოყენებული კითხვარი და მონაცემები ხელმისაწვდომია „CRRC საქართველოს“ მონაცემთა ონლაინპორტალზე - caucasusbarometer.org.

მეთოდოლოგია

როგორც ზემოთ აღინიშნა, კვლევა მოიცავდა რაოდენობრივ გამოკითხვას, რომელიც წარმომადგენლობითი იყო მთელი ქვეყნის სრულწლოვანი მოსახლეობისთვის. ანგარიშის ამ ნაწილში მიმოხილულია კვლევის მეთოდოლოგია.

რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება და ანალიზი

გამოკითხვის შერჩევა კლასტერული სტრატიფიკაციის (ფენებად დაყოფის) მეთოდით გაკეთდა. ფენები მოიცავდა თბილისს, სხვა ქალაქებსა და სოფლებს. მოხდა სუბსტრატიფიკაცია ქვეყნის დაყოფის გზით ჩრდილო-დასავლეთ, ჩრდილო-აღმოსავლეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებად. კვლევისას შერჩევის პირველად ერთეულად გამოყენებულ იქნა საარჩევნო უბნების სია. საარჩევნო უბნების ფარგლებში, გამოკითხვისთვის შინამეურნეობების გამოსავლენად გამოყენებულ იქნა სისტემატური „შემთხვევითი ხეტიალის“ მეთოდი. შინამეურნეობებში რესპონდენტები შეირჩნენ „კიშის ცხრილის“ გამოყენებით. მონაცემები შეწონილია მოსახლეობის დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით, მოსახლეობის 2014 წლის აღწერაზე დაყრდნობით. გამოკითხვის ძირითადი მახასიათებლები მოცემულია წინამდებარე ცხრილში:

გრაფიკი 1: გამოკითხვის მახასიათებლები

საველე სამუშაოების თარიღები	შერჩევის ზომა	ცდომილების ზღვარი	გამოპასუხების მაჩვენებელი
09/10-09/28	1928	2.2%	32

მონაცემები შეგროვების, გაწმენდისა და შეწონვის შემდგომ გაანალიზდა აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკური (inferential) მეთოდების კომბინაციით. აღწერითი სტატისტიკა მოიცავდა სიხშირეებსა და კროს-ტაბულაციებს, რაც ზოგად სურათს გვაძლევს. რაც შეეხება დასკვნით სტატისტიკას, ჯგუფებს შორის განსხვავებების გამოსავლენად მრავალცვლადიანი რეგრესიის მეთოდი გამოვიყენეთ. რეგრესიები კონტროლდება შემდეგი ცვლადების მიხედვით:

- ასაკობრივი ჯგუფი (18-34, 35-54, 55+);
- სქესი (მამრობითი ან მდედრობითი);
- განათლების დონე (ბაკალავრის ხარისხი ან უფრო მაღალი);
- დასახლების ტიპი (დედაქალაქი, სხვა ქალაქი, სოფელი);

- სიმდიდრე (ნავარაუდევია სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთების ფლობის ინდექსით);
- ეთნიკური წარმომავლობა (ეთნიკურად ქართველი ან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი);
- იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი (აქვს სტატუსი ან არა);
- დასაქმების სტატუსი (მუშაობს ან არა);

ამ ანგარიშში ასახული მონაცემების ანალიზი მხოლოდ სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებებს მოიცავს. სხვა მითითების არარსებობის შემთხვევაში, სტატისტიკურად უმნიშვნელო სხვაობები აღწერილი არ არის.

ზოგადად, რეგრესიული ანალიზის შედეგები მარგინალურ ეფექტებს წარმოაჩენს. მარჟინალური ეფექტები არის განსხვავებები ორ ჯგუფს შორის, სხვა ფაქტორების მდგრადობის პირობებში. მაგალითად, თუ ეთნიკური უმცირესობები 5 პროცენტული პუნქტით უფრო მაღალი ალბათობით განიცდიან გაურკვევლობას დასავლეთის მიმართ არსებული შეხედულებების მხრივ, ეს სტატისტიკა ინტერპრეტირებულია, როგორც 5 პროცენტით უფრო მაღალი ალბათობა ეთნიკურ ქართველებთან შედარებით, ზემოთ ჩამოთვლილი სხვა ცვლადების გაკონტროლების შემდეგ.

შედეგები

ანგარიშის ეს ნაწილი კვლევის მიგნებებს აჯამებს. მოცემულია ოთხი ძირითადი კატეგორია, რომელიც მიმოიხილავს ადამიანების დამოკიდებულებებს და აღქმებს ეთნიკური იდენტობის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, დასავლეთის და უახლესი წარსულის მიმართ.

ეთნიკური იდენტობის ნაირსახეობები

იმის გასარკვევად, თუ რომელი იდენტობაა საქართველოს მოსახლეობისთვის უფრო პრიორიტეტული, რესპონდენტებს ვკითხეთ, ისინი ეთნიკურ წარმომავლობასთან უფრო ახდენდნენ საკუთარი თავის იდენტიფიკაციას თუ მოქალაქეობასთან. შედეგებმა აჩვენა, რომ 16%-ს საკუთარი ეთნიკური წარმომავლობა უფრო მნიშვნელოვან მახასიათებლად მიაჩნია, 67% კი იდენტიფიკაციას უფრო მოქალაქეობასთან ახდენს. საქართველოს მოსახლეობის 15%-ისთვის ორივე იდენტობა თანაბრად მნიშვნელოვანია. სოციალური და დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით ანალიზისას მონაცემები რამდენიმე განსხვავებას ავლენს. სოფლებში მცხოვრები ადამიანები და ახალგაზრდები უფრო მაღალი ალბათობით ფიქრობენ, რომ ეთნიკური იდენტობა უფრო მნიშვნელოვანია. ადამიანები ურბანული დასახლებებიდან და 34-55 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები კი უფრო მოქალაქეობას ანიჭებენ პრიორიტეტს.

გრაფიკი 2: ეროვნული იდენტობა და ეთნიკური წარმომავლობა



იდენტობის საკვლევად ასევე დავსვით კითხვა, თუ რა სახის საკითხებია მნიშვნელოვანი ადამიანებისთვის გეოგრაფიული მასშტაბის მიხედვით (მაგ: ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული თუ საერთაშორისო საკითხები). მონაცემებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის 56%-ს ყველაზე მეტად ეროვნული საკითხები აღელვებს. შემდგომი ყველაზე ხშირი პასუხები იყო: ადგილობრივი (18%) და საერთაშორისო (16%) საკითხები. სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლების პასუხები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. ეთნიკური უმცირესობების (35%) გარდა, ყველა სხვა დემოგრაფიული ჯგუფის სულ მცირე ნახევრისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხებია. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, სოფლების მაცხოვრებლები, უმუშევრები, 55 წელზე უფროსი და საშუალო განათლების მქონე ადამიანები უფრო მაღალი ალბათობით ასახელებდნენ ადგილობრივ საკითხებს. ეთნიკურად ქართველები და თბილისის მაცხოვრებლები ნაკლები ალბათობით აცხადებდნენ იმავეს. თბილისის მაცხოვრებლები და ეთნიკურად ქართველები ყველაზე მნიშვნელოვნად ეროვნულ და საერთაშორისო საკითხებს მიიჩნევენ.

გრაფიკი 3: საკითხების მნიშვნელობა



გამოკითხვა ასევე იკვლევდა ადმიანების აზრს იმის თაობაზე, თუ რა შეიძლება მიჩნეულ იქნას მოქალაქეობის ნაციონალისტურ ხედვად. მოსახლეობის სრულმა უმრავლესობამ (98%) აღნიშნა, რომ ისინი ამაყობენ საქართველოს მოქალაქეობით. ბევრს ენა საქართველოს მოქალაქეობის მნიშვნელოვან ატრიბუტად მიაჩნია. სრული უმრავლესობის აზრით, საქართველოს მოქალაქეები ქართულად უნდა საუბრობდნენ (92%). უმრავლესობას (94%) ასევე მიაჩნია, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, რომლებსაც საჯარო სამსახურში მუშაობა სურთ, ქართული ენის ცოდნა უნდა

მოეთხოვებოდეთ. მოსახლეობის ნახევარმა (50%) მიუთითა, რომ საქართველოს მოქალაქეები მართლმადიდებელი ქრისტიანები უნდა იყვნენ. ამასთან, საზოგადოების ორი მესამედი არ ფიქრობს, რომ საქართველოს მოქალაქეობა მხოლოდ ეთნიკურად ქართველებს უნდა მიენიჭოთ.

გრაფიკი 4: ენა და რელიგია, როგორც მოქალაქეობის მანიშნებლები



შევეცადეთ გაგვერკვია, თუ რომელი ჯგუფები ეთანხმებიან ზემოთმოცემულ დებულებებს უფრო მაღალი ალბათობით. ამისთვის შევქმენით მოქალაქეობის მიმართ არსებული დამოკიდებულებების შესახებ კითხვების მარტივი კრებსითი ინდექსი, სადაც, საქართველოს მოქალაქეობის მიმართ დადებითი დამოკიდებულების შესახებ კითხვის გარდა, ყველა კითხვა გავაერთიანეთ. ადამიანებს, რომლებიც სრულად არ ეთანხმებოდნენ არცერთ დებულებას, მიენიჭათ 12 ქულა, ხოლო მათ, ვინც ყველა დებულებას სრულად ეთანხმებოდა - ნული ქულა. საშუალო ქულა იყო 3.9. წრფივი რეგრესია მიუთითებს, რომ ხანშიშესული, შედარებით დაბალი საფეხურის განათლების მქონე და უფრო ღარიბი მოსახლეობა ნაკლებ ქულებს აჩვენებს, ანუ მათ ტოლერანტობის უფრო დაბალი ხარისხი აქვთ. იძულებით გადაადგილებული პირები უფრო მაღალ ქულებს იღებენ, რაც ტოლერანტობის უფრო მაღალ ხარისხზე მიუთითებს. ეთნიკური უმცირესობები, ყველა სხვა გამოკვლეულ ჯგუფთან შედარებით, ტოლერანტობის ყველაზე მაღალ ხარისხს ამჟღავნებენ.

გრაფიკი 5: მოქალაქეობის აღქმის ინდექსი



გამოკითხვა ასევე მოიცავდა კითხვებს იმასთან დაკავშირებით, მისცემდნენ თუ არა ადამიანები ხმას სხვადასხვა ჯგუფის უმცირესობებს. მთლიანობაში, 7%-მა თქვა, რომ ისინი ხმას მისცემდნენ განსხავებული რელიგიის წარმომადგენელს. 46% ხმას მისცემდა სხვა ეთნიკური წარმომავლობის მქონე პირს, ხოლო 19% - მას, ვინც ქართული ენა არ იცის. შევქმენით მარტივი კრებსითი ინდექსი ამ კითხვისთვის. ინდექსი 0-დან 9-მდე მერყეობს, სადაც 0 მიუთითებს ზემოთ მოცემული ყველა დებულების უარყოფას, 9 კი - მათზე დათანხმებას. შესაბამისად, დაბალი ქულა ნიშნავს უფრო მაღალ მზაობას, მისცე ხმა განსხვავებული ჯგუფის წარმომადგენელს, ხოლო მაღალი ქულა დაბალ მზაობაზე მიანიშნებს. ინდექსის საშუალო ქულა 5.2 იყო. ინდექსის განაწილება ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზეა ასახული. ის მიუთითებს, რომ ადამიანები მიდრეკილი არ არიან, ხმა მათგან განსხვავებული ჯგუფის წარმომადგენლებს მისცენ.

გრაფიკი 6: განსხვავებული ჯგუფისთვის ხმის მიცემის ინდექსი



რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ უმცირესობებისთვის ხმის მიცემის მზაობას სხვადასხვა მახასიათებლები უკავშირდება, მათ შორის, ეთნიკური წარმომავლობა, განათლება და იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი. უფრო მაღალი საფეხურის განათლების მქონე ადამიანები, ისევე, როგორც ეთნიკური უმცირესობები, უფრო მზად არიან, ხმა მათგან განსხვავებულს მისცენ. მცირედით ნაკლებ მზაობას გამოხატავენ იძულებით გადაადგილებული პირები.

გრაფიკი 7: განსხვავებული ჯგუფისთვის ხმის მიცემის ინდექსი ეთნიკური წარმომავლობის, განათლების და იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მიხედვით



კვლევა ასევე მოიცავდა შეკითხვებს ეთნიკურ წარმომავლობაზე საქართველოში მომხდარი კონფლიქტების ჭრილში. მონაცემების მიხედვით, საზოგადოება იხრება იმ აზრისკენ, რომ საქართველოში მომხდარი კონფლიქტები ეთნიკური უმცირესობების მიმართ მეტი ტოლერანტობის საჭიროებას გვაჩვენებს. ამავდროულად, მოსახლეობის თითქმის ნახევარს მიაჩნია, რომ უმცირესობები საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნის უსაფრთხოებისთვის.

გრაფიკი 8: ეთნიკური წარმომავლობა და კონფლიქტები



მონაცემების მიხედვით, ეთნიკური უმცირესობები, სოფლად მცხოვრები ადამიანები და უმუშევრები ნაკლები ალბათობით აღნიშნავენ, რომ საქართველო უფრო ტოლერანტული უნდა იყოს.

გრაფიკი 9: ეთნიკური წარმომავლობა და კონფლიქტი დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას: საქართველოში დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ მომხდარი ომები გვაჩვენებს, რომ ქვეყანა და მოსახლეობა ეთნიკური უმცირესობების მიმართ უფრო ტოლერანტული უნდა იყოს (%)



ამის საპირისპიროდ, ეთნიკური უმცირესობები ერთადერთი ჯგუფია, რომლის ნახევარზე მეტსაც (60%) ეთნიკური და ლინგვისტური უმცირესობები ქვეყნის უსაფრთოხებისთვის პოტენციურ საფრთხედ არ მიაჩნია. ეთნიკური უმცირესობების გარდა, ამ დებულებას უფრო მაღალი ალბათობით არ ეთანხმებიან თბილისის მაცხოვრებლები, 34 წელზე ახალგაზრდა ადმიანები და უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქეები.

გრაფიკი 10: უმცირესობები, როგორც საფრთხე დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით



კითხვარი ასევე მოიცავდა შეკითხვებს უმცირესობების ენაზე სახელმწიფო სერვისების მიწოდების შესახებ. უმრავლესობა (54%) მხარს დაუჭერდა მთავრობის მიერ სახელმწიფო სერვისების მიწოდებას უმცირესობების ენაზე, ქართულთან ერთად. უმრავლესობა (62%) მხარს არ უჭერს საგზაო ნიშნების დამონტაჟებას უმცირესობების ენაზე. ოდნავ უფრო მეტი ადამიანი (65%) ეწინააღმდეგება სასამართლოში უმცირესობებს შორის სამოქალაქო დავების წარმართვას მათსავე ენაზე. თუ ამ მონაცემებს გავაანალიზებთ განათლების დონის, ეთნიკური წარმომავლობის, დასაქმების, დასახლების ტიპის და ასაკის მიხედვით, რიგ განსხვავებებს დავინახავთ. ეთნიკური უმცირესობები და თბილისში მცხოვრები ადამიანები უფრო მაღალი ალბათობით უჭერენ მხარს სახელმწიფო სერვისების მიწოდებას უმცირესობების ენებზე. უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები და ეთნიკურად ქართველები ნაკლები ალბათობით უჭერენ მხარს საგზაო ნიშნების განთავსებას უმცირესობების ენებზე, განათლების უფრო დაბალი საფეხურის მქონე ადამიანებთან და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან შედარებით. ასევე, ეთნიკური უმცირესობები, 35 წელზე ახალგაზრდა ადამიანები და ისინი, ვისაც საშუალო ან უფრო დაბალი საფეხურის განათლება აქვთ, მეტი ალბათობით უჭერენ მხარს ეთნიკურ უმცირესობებს შორის სასამართლო განხილვების გამართვას მათსავე ენებზე.

გრაფიკი 11: დამოკიდებულებები სერვისების მიწოდების მიმართ



პარლამენტის 150 დეპუტატიდან 21 ქალია, ხოლო 11 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი. მოსახლეობის 46%-მა თქვა, რომ 21 ქალი დეპუტატი ძალიან ცოტაა, 36%-ის აზრით, ეს საკმარისი ოდენობაა, ხოლო 6% ფიქრობს, რომ ძალიან ბევრია. შედარებისთვის, 17%-მა აღნიშნა, რომ უმცირესობების რიცხვი ძალიან ცოტაა, 15% ფიქრობს, რომ მათი რიცხვი ძალიან ბევრია, ხოლო, 56%-ის აზრით, 11 მისაღები ოდენობაა. სოციალური და დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით ანალიზისას მონაცემები რიგ განსხვავებებს აჩვენებს. ქალები, 35 წელზე უფრო ახალგაზრდა და უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები უფრო მაღალი ალბათობით მიუთითებდნენ, რომ ქალების ოდენობა პარლამენტში ძალიან ცოტაა. კაცები, ხანშიშესული და უმაღლესზე უფრო დაბალი საფეხურის განათლების მქონე ადამიანები საპირისპიროს ამბობდნენ. ეთნიკური უმცირესობების ოდენობასთან მიმართებით, ეთნიკური უმცირესობები (58%), სოფლად მცხოვრები ადამიანები (22%) და უმუშევრები (19%) უფრო მაღალი ალბათობით ამბობდნენ, რომ მათი ოდენობა პარლამენტში ძალიან ცოტაა.

გრაფიკი 12: დამოკიდებულებები უმცირესობების წარმომადგენელი და ქალი დეპუტატების მიმართ



კვლევისას ასევე დავსვით კითხვა, თუ რა გავლენა ექნებოდა საქართველოზე პარლამენტში მეტი ქალი დეპუტატის ყოლას. მონაცემების მიხედვით, საზოგადოების 54% ფიქრობს, რომ ამას ქვეყანაზე დადებითი გავლენა ექნებოდა, 9%-ის აზრით კი - უარყოფითი. 25%-ს მიაჩნია, რომ მეტი ქალი დეპუტატის ყოლას არანაირი გავლენა არ ექნებოდა ქვეყანაზე. მსგავსი შეკითხვები დაისვა პარლამენტში ეთნიკური უმცირესობებისა და ლგბტ თემის მეტი წარმომადგენლების ყოლაზეც. ქალებთან შედარებით, ორივე ამ ჯგუფთან მიმართებით, ადამიანებს ნაკლებად დადებითი დამოკიდებულებები ჰქონდათ.

გრაფიკი 13: მეტი ქალის, ლგბტ თემის და უმცირესობების წარმომადგენლების ყოლა პარლამენტში დადებითი მოვლენაა თუ არა?



დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ზოგიერთ ჯგუფს, სხვებთან შედარებით უფრო დადებითი დამოკიდებულებები აქვს. ქალების უმრავლესობა (60%) მიიჩნევს, რომ მეტი ქალი დეპუტატის ყოლა საქართველოზე დადებით გავლენას იქონიებს. უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები მცირედით უფრო მაღალი ალბათობით აცხადებენ იმავეს.

გრაფიკი 14: მეტი ქალი დეპუტატის ყოლის გავლენა ქვეყანაზე სოციალური და დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით



ეთნიკური უმცირესობები, ეთნიკურ ქართველებთან შედარებით, ზოგადად, უფრო დადებითად არიან განწყობილები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობის ზრდის მიმართ, თუმცა, უფრო ნეგატიურები არიან ქალებთან და ლგბტ თემთან მიმართებით.

გრაფიკი 15: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი დეპუტატების ოდენობის ზრდის გავლენა ქვეყანაზე სოციალური და დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით



მონაცემები აჩვენებს, რომ სოფლად მცხოვრები ადამიანები, ეთნიკურად ქართველები, 55 წელზე უფროსი და უმაღლესი განათლების მქონე პირები უფრო მაღალი ალბათობით ამბობენ, რომ ლგბტ ადამიანების ოდენობის ზრდა პარლამენტში ქვეყანაზე უარყოფით გავლენას იქონიებს.

გრაფიკი 16: ლგბტ თემი წარმომადგენლების ზრდის გავლენა ქვეყანაზე სოციალური და დემოგრაფიული ცვლადების მიხედვით



დამოკიდებულებები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ

პროექტის კიდევ ერთი მთავარი თემა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ არსებული დამოკიდებულებებია. მონაცემები აჩვენებს, რომ, ზოგადად, ადამიანები დადებითად არიან განწყობილი ეკლესიის მიმართ, თუმცა, დამოკიდებულებები ჯგუფებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავდება.

კონსტიტუციური შეთანხმების მიხედვით, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას საქართველოში განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსი აქვს. უმრავლესობა (62%) მხარს უჭერს კონსტიტუციურ შეთანხმებას, უმცირესობა (19%) კი - არა. დაახლოებით იგივე ოდენობის (17%) ადამიანებს არ აქვთ ჩამოყალიბებული პოზიცია. ჩავატარეთ ლოგისტიკური რეგრესიის ანალიზი, რათა დაგვედგინა, თუ როგორ განსხვავდება დამოკიდებულებები სხვადასხვა ჯგუფებში. ანალიზმა აჩვენა, რომ ეთნიკური უმცირესობები (რომლებიც ხშირად რელიგიურ უმცირესობებსაც წარმოადგენენ) ნაკლები ალბათობით უჭერენ მხარს ეკლესიის განსაკუთრებულ სტატუსს, ვიდრე ეთნიკურად ქართველები. თბილისის მაცხოვრებლები ასევე ნაკლები ალბათობით გამოხატავენ მხარდაჭერას, სხვა ქალაქებში და სოფლად მცხოვრებ ადამიანებთან შედარებით.

გრაფიკი 17: დამოკიდებულებები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული იურიდიული სტატუსის მიმართ

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს საკონსტიტუციო შეთანხმებით მინიჭებული უფლება, რომელიც მას საქართველოში განსაკუთრებულ იურიდიულ სტატუსს აძლევს. მხარს უჭერთ თუ არა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ იურიდიულ სტატუსს? (%)



დამოკიდებულებების უფრო კარგად გასაანალიზებლად, კვლევისას რესპონდენტებს დავუსვით ოთხი შეკითხვა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლზე საზოგადოებაში. რესპონდენტებს უნდა ეპასუხათ, ისინი სრულად ეთანხმებოდნენ, ეთანხმებოდნენ, არ ეთანხმებოდნენ, თუ საერთოდ არ ეთანხმებოდნენ შემდეგ დებულებებს:

1. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ხელს უწყობს ზნეობრივი ღირებულებების შენარჩუნებას საზოგადოებაში;
2. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ხელს უწყობს საქართველოს რუსეთთან დაახლოებას;
3. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ჩვენი თვითმყოფადობის საფუძველია;
4. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ძალიან მნიშვნელოვანია ჩემი ოჯახისათვის.

პირველ, მესამე და მეოთხე დებულებებთან მიმართებით, ადამიანებს მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი დამოკიდებულებები ჰქონდათ. ჯამში (პასუხები „სრულად ეთანხმება“ და „ეთანხმება“ ერთად), 80% ეთანხმება, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ხელს უწყობს ზნეობრივი ღირებულებების შენარჩუნებას საზოგადოებაში. 11% ამ დებულებას არ დაეთანხმა/საერთოდ არ დაეთანხმა, ხოლო 8%-მა თქვა, რომ არ იცის. საზოგადოების უმრავლესობის აზრით, მართლმადიდებელი ეკლესია ჩვენი თვითმყოფადობის საფუძველია (79%) და ძალიან მნიშვნელოვანია მათი ოჯახისთვის (83%). მეორე დებულებასთან მიმართებით შეხედულებები უფრო მრავალფეროვანი იყო: 35% სრულად დაეთანხმა ან დაეთანხმა, ხოლო 33% არ დაეთანხმა, ან საერთოდ არ

დაეთანხმა. მესამედს (30%) ამ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა. ეკლესიის მიმართ საყოველთაოდ დადებითი დამოკიდებულების გათვალისწინებით, საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტებზე მონაცემების დამატებითი ანალიზი აღარ ჩატარებულა.

გრაფიკი 18: დამოკიდებულებები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ



ზემოთ აღწერილი მონაცემები მიანიშნებს, რომ საზოგადოება მხარს უჭერს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ეკლესია ხელს უწყობს მორალური ღირებულებების შენარჩუნებას და ისინი მხარს უჭერენ ეკლესიის განსაკუთრებულ იურიდიულ სტატუსს. თუმცა, თბილისში მცხოვრები ადამიანები და ეთნიკური უმცირესობები ნაკლებად ერთგვაროვან მხარდაჭერას გამოხატავენ, სულ მცირე ეკლესიის იურიდიულ სტატუსთან მიმართებით.

დამოკიდებულებები დასავლეთის მიმართ

კვლევამ ასევე მოიცვა დამოკიდებულებები დასავლეთის მიმართ, რაც გულისხმობს საქართველოსა და დასავლური ქვეყნებსა თუ გაერთიანებებს შორის ურთიერთობების. საგარეო ურთიერთობების ჭრილში, ასევე დაისვა შეკითხვები რუსეთის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და შიდა ინსტიტუტების შესახებ.

მონაცემები აჩვენებს, რომ საზოგადოება დასავლურ ქვეყნებს საქართველოს ყველაზე დიდ მხარდამჭერად აღიქვამს. უმეტესობის (39%) აზრით, საქართველოს დახმარება ყველაზე უკეთ ევროკავშირს შეუძლია. შედარებით მცირე ნაწილი (24%) ფიქრობს, რომ ქვეყნის საუკეთესო მხარდამჭერი შეერთებული შტატებია. უფრო მცირე ნაწილს (13%) კი საუკეთესო მხარდამჭერად რუსეთი მიაჩნია. დაახლოებით ამდენივე ადამიანი (15%) ფიქრობს, რომ საქართველოს დახმარება ამ ქვეყნებიდან/კავშირებიდან არცერთს არ შეუძლია, 8%-მა კი თქვა, რომ არ იცის პასუხი.

ეთნიკურად ქართველები უფრო მაღალი ალბათობით მიუთითებენ, რომ საქართველოს დახმარება ყველაზე უკეთ ევროკავშირსა და შეერთებულ შტატებს შეუძლიათ. ეთნიკურმა უმცირესობებმა უფრო ხშირად რუსეთი დაასახელეს. მნიშვნელოვანი ფაქტორები აღმოჩნდა განათლება, ასაკი, ეკონომიკური მდგომარეობა და დასახლების ტიპი. უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები და 56 წელზე ნაკლები ასაკის ადამიანები უფრო მაღალი ალბათობით აღნიშნავენ, რომ საქართველოს დახმარება ყველაზე უკეთ ევროკავშირსა და შეერთებულ შტატებს შეუძლიათ. უფრო შეძლებული მოსახლეობაც უფრო მაღალი ალბათობით პასუხობს იმავეს მაშინ, როცა უფრო ღარიბი მოსახლეობა უფრო ხშირად ასახელებს რუსეთს. თბილისში მცხოვრები მოსახლეობა უფრო ხშირად დასავლეთს ასახელებს, სოფლად მცხოვრები კი - რუსეთს.

გრაფიკი 19: საქართველოს ყველაზე ახლო მოკავშირეები



კვლევაში ასევე დასმული იყო შეკითხვა შესაძლო არჩევანს შორის საქართველოს დასავლეთში ინტეგრაციასა და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე კონტროლის დაბრუნებას შორის. შეკითხვა ასე იყო ფორმულირებული: „არჩევანის გაკეთება რომ მოგიწიოთ, ერთი მხრივ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებასა და, მეორე მხრივ, ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას შორის, რომელს აირჩევდით?“ მთლიანობაში, 78%-მა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნება არჩია, 13%-მა კი ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანება. დემოგრაფიული ცვლადების კონტროლით ჩატარებულმა რეგრესიულმა ანალიზმა, რომელიც მეთოდოლოგიის ნაწილში აღვწერეთ, სხვადასხვა ჯგუფს შორის ერთადერთი განსხვავება გამოავლინა - თბილისის გარდა, სხვა ქალაქების მაცხოვრებლები უფრო ნაკლები ალბათობით უჭერენ მხარს ტერიტორიების დათმობას ნატოსა და ევროკავშირის წევრობის სასარგებლოდ თბილისის მაცხოვრებლებთან შედარებით.

გრაფიკი 20: აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი თუ ნატო და ევროკავშირი?



საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების ჭრილში ევროკავშირში ინტეგრაცია ფართოდ განიხილება. კვლევა მოიცავდა შეკითხვას ევროკავშირში ინტეგრაციის შესახებ დამოკიდებულებაზე. მთლიანობაში, რესპონდენტების 78% მხარს უჭერს საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირში. მონაცემების მიხედვით, 14% არ უჭერს მხარს ევროკავშირის წევრობას, ხოლო 8%-მა არ იცის ან არ სურს პასუხის გაცემა. ამ შეკითხვის შემდგომმა ანალიზმა აჩვენა, რომ ეთნიკური უმცირესობები (53%) ნაკლები ალბათობით უჭერენ მხარს ევროკავშირის წევრობას ეთნიკურ ქართველებთან (82%) შედარებით.

რესპონდენტებს ასევე ვკითხეთ, თუ რომელი ფაქტორები ეხმარება, ზიანს აყენებს ან არ მოქმედებს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციაზე. შედეგებმა აჩვენა, რომ რუსეთთან დაკავშირებული ფაქტორები ყველაზე შემაფერხებელ გარემოებებად აღიქმება. მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა (42%) თქვა, რომ რუსეთის ანტიდასავლური პროპაგანდა ზიანს აყენებს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებას. უფრო მცირე ნაწილმა (18%) აღნიშნა, რომ ამ ფაქტორს ინტეგრაციის პროცესზე არ უმოქმედია, ხოლო, 6%-ის აზრით, რუსეთის ანტიდასავლური პროპაგანდა ინტეგრაციის ხელშემწყობია. დანარჩენ მოსახლეობას (24%) არ ჰქონდა გამოკვეთილი პოზიცია ან არ სმენოდა რუსეთის ანტიდასავლური პროპაგანდის შესახებ (3%). მოსახლეობის თითქმის ნახევარი (48%) საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის შემაფერხებელ ფაქტორად საქართველოსა და რუსეთს შორის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის შესახებ დაპირისპირებას მიიჩნევს. კვლევა ასევე მოიცავდა შეკითხვას სხვა საგარეო მოვლენების გავლენის შესახებ. უმეტესობამ (42%) თქვა, რომ დიდი ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვებას საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციაზე არ უმოქმედია. რესპონდენტებს

ასევე ვკითხეთ, თუ რა მასშტაბის გავლენა ჰქონდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ანტიდასავლურ რიტორიკას საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებაზე. შედეგები მიუთითებს, რომ ამ ფაქტორს ევროკავშირში ინტეგრაციის შემაფერხებელ გარემოებად მოსახლეობის შედარებით მცირე ნაწილი აღიქვამს (20%). მცირედით უფრო მეტმა ადამიანმა (29%) თქვა, რომ ამ ფაქტორს ინტეგრაციაზე არ უმოქმედია, უმეტესობამ (37%) კი კითხვაზე პასუხი არ იცის.

გრაფიკი 21: საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის ხელშემწყობი და ხელშემშლელი მოვლენები



რესპონდენტებს ვკითხეთ, ეთანხმებიან თუ არა მოსაზრებას, რომ ევროკავშირი საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს. ამ მოსაზრებას მოსახლეობის ნახევარი (50%) არ ეთანხმება, 39% კი ფიქრობს, რომ ევროკავშირი ქართული ტრადიციებისთვის საფრთხეს წარმოადგენს. 11%-მა განაცხადა, რომ ამ კითხვაზე პასუხი არ იცის. რეგრესიული ანალიზი მიუთითებს, რომ, სხვა ფაქტორების გაკონტროლების პირობებში, უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები ნაკლებად ეთანხმებიან ამ მოსაზრებას. ასევე, ხანშიშესული ადამიანები, ახალგაზრდებთან შედარებით, უფრო მეტი ალბათობით ეთანხმებიან მას.

გრაფიკი 22: უქმნის თუ არა ევროკავშირი საფრთხეს ქართულ ტრადიციებს?



კვლევა ასევე მოიცავდა შეკითხვებს ევროკავშირში საქართველოს შემდგომი ინტეგრაციის შესაძლო შედეგების შესახებ. მონაცემების მიხედვით, დიდი უმრავლესობა ფიქრობს, რომ საქართველოსთვის ევროკავშირში ინტეგრაცია კარგი შედეგების მომტანი იქნება. ყველაზე უფრო მეტად ადამიანები დაეთანხმნენ მოსაზრებას, რომ ქართველები უფრო მარტივად შეძლებენ ევროკავშირში სამუშაოდ და სასწავლებლად წასვლას. ყველაზე ნაკლები მხარდაჭერა ჰქონდა მოსაზრებებს, რომ საქართველოს უფრო საქმიანი მთავრობა ეყოლება და უკეთ იქნება დაცული რუსეთისგან. თუმცა, ამ მოსაზრებებს გამოკითხულთა ნახევარზე მეტი მაინც დაეთანხმა.

გრაფიკი 23: ევროკავშირში შემდგომი ინტეგრაციის შესაძლო შედეგები



აღნიშნული კითხვების საფუძველზე შევადგინეთ ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ინდექსი. ინდექსი 0-დან 8 ქულამდე მერყეობს, სადაც 0 ნიშნავს მხოლოდ უარყოფით ან ბუნდოვან დამოკიდებულებებს, ხოლო 8 - მხოლოდ დადებით დამოკიდებულებებს შეკითხვებში მოცემულ შედეგებთან მიმართებით. საშუალო ქულა 5.8 იყო. რეგრესიამ აჩვენა, რომ იძულებით გადაადგილებული პირები, ახალგაზრდები, შეძლებული ადამიანები და ეთნიკურად ქართველები, სხვა ფაქტორების გაკონტროლებით, უფრო დადებითად არიან განწყობილები ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართ.

გრაფიკი 24: ევროკავშირში შემდგომი ინტეგრაციის შესაძლო შედეგების აღქმის ინდექსი



ზოგადად, მოსახლეობა დადებითად არის განწყობილი დასავლეთში ინტეგრაციის მიმართ. მოსახლეობა ევროკავშირს საუკეთესო პარტნიორად აღიქვამს, რუსეთთან ურთიერთობა კი ევროკავშირთან დაახლოებაში ხელისშემშლელად მიაჩნია. თუმცა, ინტეგრაციის მოტივაცია უპირველესად გაუმჯობესებულ ეკონომიკურ მდგომარეობას უკავშირდება და არა ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიას.

დამოკიდებულებები უახლესი ისტორიის მიმართ

საქართველოს უახლესი ისტორიის მოვლენების შესახებ მრავალი მოსაზრება არსებობს. კვლევა მოიცავდა რიგ შეკითხვებს ისტორიულ საკითხებთან მიმართებით ადამიანების მოსაზრებების შესახებ. ამ ნაწილში გთავაზობთ ამ მოსაზრებებს.

საბჭოთა კავშირის დამლამდე, 1989 წლის აპრილში, საქართველოში საპროტესტო აქციები იმართებოდა. 9 აპრილს აქცია ძალის გამოყენებით დაარბიეს. რესპონდენტებს ვკითხეთ, ისინი 9 აპრილს ტრაგედიად აღიქვამდნენ, თუ ეს მათთვის პოზიტიური მოვლენაც იყო, რადგან ხელი შეუწყო საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე დადგომას. ფაქტობრივად, ყველა (95% „სრულად ეთანხმება“ ან „ეთანხმება“) ფიქრობს, რომ 9 აპრილი ტრაგედია იყო. მოსაზრებები გაიყო იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა მოვლენა დადებითი.

გრაფიკი 25: დამოკიდებულებები 9 აპრილის მიმართ



დემოგრაფიული და სოციალური ჯგუფების მიხედვით დაყოფისას, მეორე კითხვასთან მიმართებით მონაცემები რიგ განსხვავებებზე მიუთითებს. ეთნიკურმა უმცირესობებმა მნიშვნელოვნად უფრო მაღალი ალბათობით არ იციან, იყო თუ არა 9 აპრილი დადებითი მოვლენა, რომელმაც ქვეყანა დამოუკიდებლობამდე მიიყვანა. ამის მსგავსად, ადამიანები, რომლებსაც დაბალი საფეხურის განათლება აქვთ, ამ კუთხით, ნაკლებად დადებითად აღიქვამენ 9 აპრილს და უფრო ხშირად აცხადებენ, რომ არ იციან.

გრაფიკი 26: სხვადასხვა ჯგუფების დამოკიდებულება 9 აპრილის მიმართ



მონაცემები აჩვენებს, რომ მოსახლეობის უმრავლესობა (64%) 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლას საქართველოსთვის დადებით მოვლენად აღიქვამს. ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა მოსახლეობის უმცირესობა (28%). მცირე ნაწილს (8%) კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა ან არ სურდა (1%).[1] რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ასაკი, ეთნიკური წარმომავლობა, განათლება, ეკონომიკური მდგომარეობა და დასახლების ტიპი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს, ადამიანები დადებითად უყურებენ საბჭოთა კავშირის დაშლას თუ არა. ახალგაზრდები უფრო მაღალი ალბათობით ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა კარგი მოვლენა იყო. სხვა ფაქტორების გაკონტროლებით, თბილისის მაცხოვრებლები, უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები და შედარებით უფრო შეძლებული ადამიანები უფრო მაღალი ალბათობით აღიქვამდნენ საბჭოთა კავშირის დაშლას დადებითად.

გრაფიკი 27: დამოკიდებულებები საბჭოთა კავშირის დაშლის მიმართ



[1] სტატისტიკური დამრგვალების შეცდომის გამო, აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხის პროცენტები 100-ზე არ ჯამდება.

ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველომ გამოიარა ორი კონფლიქტი ეთნიკურ ნიადაგზე და სამოქალაქო ომი. მოსახლეობა ფიქრობს, რომ ეთნიკური კონფლიქტებისა და 2008 წლის ომის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო. მონაცემების მიხედვით, ადამიანები იქითკენ იხრებიან (57%), რომ 90-იან წლებში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მომხდარი ომების თავიდან არიდება შეიძლებოდა. ამას მხოლოდ 18% არ ეთანხმება, ბევრმა კი არ იცის (23%). კიდევ ერთი შეკითხვა 2008 წლის აგვისტოს ომს შეეხებოდა. რესპონდენტების უმრავლესობა (55%) არ დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ომის თავიდან ასარიდებლად ყველაფერი გაკეთდა; ამას მხოლოდ 28% დაეთანხმა.

გრაფიკი 28: დამოკიდებულებები კონფლიქტების მიმართ



კვლევა ასევე მოიცავდა კითხვას, თუ რა იყო 2008 წლის ომის ყველაზე უარყოფითი შედეგი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციის გარდა. უმრავლესობის აზრით, ყველაზე უარყოფითი შედეგი ადამიანების დაღუპვა იყო (62%). მეორე ყველაზე ხშირი პასუხი იყო „არ ვიცი“ (10%). სხვა პასუხები რესპონდენტების 10%-ზე ნაკლებმა დაასახელა.

გრაფიკი 29: 2008 წლის ომის შედეგები



რესპონდენტებს ასევე ვკითხეთ, თუ რას ფიქრობენ ისინი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შესახებ, რომელიც ეთნიკურ კონფლიქტებში აქტიურად იყო ჩართული. მონაცემებმა აჩვენა, რომ, ზოგადად, დამოკიდებულებები გამსახურდიას მიმართ დადებითია. ადამიანების უმრავლესობა ფიქრობს, რომ გამსახურდია ჭეშმარიტი პატრიოტი იყო (81%) და რომ მისი დამხობა საქართველოსთვის ცუდ მოვლენას წარმოადგენდა (76%). მოსახლეობის ნახევრის (50%) აზრით, გამსახურდიას გარეშე ქვეყანა დამოუკიდებლობას ვერ მოიპოვებდა. ამის მსგავსად, უფრო მეტი ადამიანი არ დაეთანხმა, ვიდრე დაეთანხმა მოსაზრებას, რომ აფხაზეთსა (47% არ დაეთანხმა და 20% დაეთანხმა) და სამხრეთ ოსეთში (45% არ დაეთანხმა და 21% დაეთანხმა) ომის დაწყებაზე პასუხისმგებელი გამსახურდია იყო. თუმცა, ამ შეკითხვებზე პასუხები მოსახლეობის თითქმის მესამედს არ ჰქონდა.

გრაფიკი 30: დამოკიდებულებები გამსახურდიას მმართველობის მიმართ



ამ კითხვების გამოყენებით გამოვითვალეთ ინდექსი, რომლის მიხედვითაც გამსახურდიას მიმართ ცალსახად დადებითი დამოკიდებულებები 5-ს უტოლდება, უარყოფითი და გაურკვეველი დამოკიდებულებები კი - 0-ს. ინდექსის საშუალო ქულა 3.7 იყო. რეგრესიული ანალიზი მიუთითებს, რომ ეთნიკური უმცირესობები უფრო ნეგატიურად არიან განწყობილი გამსახურდიას მიმართ, ან არ აქვთ ჩამოყალიბებული პოზიცია. ქალები, კაცებთან შედარებით, მცირედით უფრო დადებითად არიან განწყობილები.

გრაფიკი 31: დამოკიდებულებები გამსახურდიას მმართველობის მიმართ სოციალური და დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით



გამსახურდიას მიმართ დამოკიდებულებების გარდა, კვლევა მოიცავდა კითხვებს გამსახურდიას შემდგომი სამი მთავრობის უდიდეს წარმატებებსა და წარუმატებლობებზე. ადამიანებს გაუჭირდათ შევარდნაძის მთავრობის წარმატებების დასახელება (28%), ან

თქვეს, რომ ამ მთავრობას წარმატებები არ ჰქონია (34%). ცხრიდან ერთმა ადამიანმა (12%) განაცხადა, რომ შევარდნაძის მთავრობის ყველაზე დიდი წარმატება საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების მოპოვება იყო. ყველა დანარჩენი პასუხი მოსახლეობის 5%-მა ან უფრო ნაკლებმა დაასახელა.

გრაფიკი 32: შევარდნაძის მმართველობის წარმატებები



შევარდნაძის მთავრობის წარმატებებისგან განსხვავებით, მისი წარუმატებლობების შესახებ მოსახლეობას უფრო ნათელი წარმოდგენა აქვს. მოსახლეობის მეხუთედმა (21%) ყველაზე დიდ წარუმატებლობად ეკონომიკური კოლაფსი დაასახელა. ცხრიდან ერთმა (11%) აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ომების თავიდან ასარიდებლად უმოქმედობაზე გაამახვილა ყურადღება. მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძის წარუმატებლობის შესახებ მოსახლეობას მეტნაკლებად ჩამოყალიბებული პოზიცია ჰქონდა, ხუთიდან ერთმა მაინც აღნიშნა, რომ ამ კითხვაზე პასუხი არ იცის (22%).

გრაფიკი 33: შევარდნაძის მმართველობის წარუმატებლობები



შევარდნაძის მთავრობისგან განსხვავებით, ადამიანებს უფრო მტკიცე მოსაზრებები აქვთ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობის ყველაზე დიდი წარმატებისა და წარუმატებლობის შესახებ. მოსახლეობის დაახლოებით თანაბარმა ნაწილმა დაასახელა კრიმინალთან ბრძოლა/კანონი და წესრიგი და ეკონომიკური ზრდა (24% და 23% შესაბამისად). ამ პასუხების შემდგომ ყველაზე ხშირი პასუხი იყო „არ ვიცი“, რაც მოსახლეობის 11%-მა აღნიშნა. დანარჩენი პასუხები საზოგადოების 5%-მა ან უფრო ნაკლებმა აირჩია.

გრაფიკი 34: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმატებები



რაც შეეხება წარუმატებლობებს, მოსახლეობის ყველაზე დიდმა ნაწილმა ადამიანის უფლებების დარღვევა (27%) დაასახელა. ასევე, დიდი ნაწილი (25%) ფიქრობს, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობამ ვერ შეძლო 2008 წლის ომის თავიდან აცილება. მესამე ყველაზე გავრცელებული პასუხი იყო „არ ვიცი“ (14%). სხვა პასუხები მოსახლეობის 10%-ზე ნაკლებმა დაასახელა.

გრაფიკი 35: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარუმატებლობები



კვლევა ასევე მოიცავდა კითხვებს მოქმედი მთავრობის წარმატებებისა და წარუმატებლობების შესახებ. ყველაზე გავრცელებული პასუხი იყო, რომ მოქმედ მთავრობას წარმატებები არ აქვს. მეორე ყველაზე გავრცელებული პასუხი იყო „არ ვიცი“ (13%). მესამე ყველაზე ხშირად დასახელებულ პასუხს ადამიანის უფლებების უკეთ დაცვა წარმოადგენდა (11%). ამას მოსდევს COVID-19 პანდემიის მართვა და ჯანდაცვის რეფორმა (თითოეული 9%).

გრაფიკი 36: „ქართული ოცნების“ წარმატებები



მოსახლეობის აზრით, ქართული ოცნების ყველაზე დიდი წარუმატებლობებია სუსტი ეკონომიკური ზრდა (26%), საარჩევნო სისტემის შესახებ პირობის დარღვევა (9%) და „გავრილოვის ღამე“ (8%). კითხვასთან დაკავშირებით გაურკვევლობა საკმაოდ დიდი იყო, 20%-მა თქვა, რომ პასუხი არ იცის. ხშირი იყო ჩამოთვლილი ვარიანტებიდან განსხვავებული პასუხის დასახელება. თუმცა, ეს პასუხები 103 სხვადასხვა ვარიანტს მოიცავდა და ერთი კონკრეტული თემა არ გამოკვეთილა.

გრაფიკი 37: „ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი წარუმატებლობები



აწმყოსთან და ქვეყანაში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, რესპონდენტებს ვკითხეთ, თუ როგორ უყურებენ ისინი სხვადასხვა საკითხების განვითარებას ქვეყანაში, როგორებიცაა, მაგალითად, დემოკრატია და ადამიანის უფლებები. მონაცემების მიხედვით, ადამიანები ფიქრობენ, რომ საქართველო ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში წამყვანი დემოკრატიაა (47%). ამის საპირისპიროდ, 32% ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა, 21%-მა კი არ იცის. მოსახლეობის უმრავლესობა არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო სწორი მიმართულებით არასოდეს განვითარებულა (63%). უმრავლესობა (63%) ასევე ფიქრობს, რომ საქართველოს უახლესი ისტორია ინსტიტუტების ნაცვლად პიროვნებების მიერ წარმართული პროცესია. უმრავლესობა არ ეთანხმება არც იმ მოსაზრებას, რომ დამოუკიდებლობის შემდეგ საქართველოს უფრო ბევრი წარუმატებლობა ჰქონდა, ვიდრე წარმატება (54%). რესპონდენტების შეხედულებები გაიყო იმასთან დაკავშირებით, მოქმედი მთავრობა სახელმწიფოს მოდერნიზაციაზე მეტად ადამიანის უფლებების დაცვას ანიჭებს თუ არა უპირატესობას.

გრაფიკი 38: შეხედულებები მსოფლიოში საქართველოს როლის შესახებ



საქართველოს მოსახლეობა საბჭოთა კავშირის დაშლას დადებით მოვლენად აღიქვამს. თუმცა, მოსახლეობა იხრება იმ აზრისკენ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლასთან დაკავშირებული კონფლიქტების თავიდან არიდება შეიძლებოდა. ადამიანებს თითოეული მთავრობის წარმატებებისა და წარუმატებლობების შესახებ კითხვებზე პასუხის გაცემა უჭირთ. ყველაზე ხშირად დასახელებული პასუხები გავრცელებულ დისკურსს ეხმიანება. შევარდნაძეს, ზოგადად, დადებითად არ იხსენებენ. მოსახლეობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობას კრიმინალთან ბრძოლასა და ეკონომიკურ ზრდას მიაწერს, თუმცა, ადანაშაულებს მას ადამიანის უფლებების დარღვევასა და 2008 წლის ომის თავიდან ვერ აცილებაში. რაც შეეხება „ქართულ ოცნებას,“ წარმატებებთან დაკავშირებით მოსაზრებები უფრო მრავალფეროვანია, უდიდეს წარუმატებლობად კი სუსტი ეკონომიკური ზრდა აღიქმება. აწმყოსთან მიმართებით, მოსახლეობა ფიქრობს, რომ საქართველო, ბევრი კუთხით, სწორ გზას ადგას.

დასკვნა

ზემოთაღწერილ მონაცემებსა და მათ ანალიზს რიგ დასკვნებამდე მივყავართ ეთნიკური იდენტობის, საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესიის როლის, დასავლეთის მიმართ დამოკიდებულებებისა და საქართველოს უახლესი წარსულის შესახებ.

ეთნიკური იდენტობის ნაირსახეობები

საქართველოში ადამიანების უმრავლესობა თავს, პირველ რიგში, საქართველოს მოქალაქედ აღიქვამს და არა კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლად. ისინი ასევე უფრო ეროვნული საკითხებით ინტერესდებიან, ვიდრე ადგილობრივი, რეგიონული და საერთაშორისო საკითხებით. გამონაკლისია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი რესპონდენტები, რომლებიც უფრო მაღალი ალბათობით ინტერესდებიან ადგილობრივი საკითხებით.

ლინგვისტურ საკითხებთან მიმართებით გამოკითხვამ აჩვენა, რომ, მოსახლეობის უმრავლესობის აზრით, ისინი, ვისაც საჯარო სამსახურში მუშაობა სურს, ქართულად უნდა საუბრობდნენ. უმრავლესობა ასევე ფიქრობს, რომ საქართველოს მოქალაქეებმა ქართული უნდა იცოდნენ. ცოტა თუ მისცემდა ხმას კანდიდატს, რომელიც ქართულად ვერ საუბრობს.

მონაცემების მიხედვით, არც ისე დადებითია მოსახლეობის დამოკიდებულება სახელმწიფოს მიერ ქართულთან ერთად უმცირესობების ენაზე საქმიანობის წარმართვის შესახებ. ადამიანების უმრავლესობა მხარს არ უჭერს საგზაო ნიშნების განთავსებას უმცირესობების ენებზე. ამის მსგავსად, უმრავლესობა არ ემხრობა უმცირესობებს შორის სამოქალაქო დავების წარმოებას მათსავე ენებზე. თუმცა, მოსახლეობა უფრო მეტად უჭერს მხარს სახელმწიფო სერვისების მიწოდებას უმცირესობების ენებზე, ქართულ ენასთან ერთად. ეთნიკური უმცირესობები, ზოგადად, უფრო მეტად უჭერენ მხარს უმცირესობებისთვის ხელსაყრელ დებულებებს სხვა ჯგუფებთან შედარებით.

კვლევა ასევე მოიცავდა კითხვას მოსახლეობის შეხედულებებზე პარლამენტში სხვადასხვა უმცირესობების წარმომადგენლობის გაზრდასთან დაკავშირებით. უმრავლესობა ფიქრობს, რომ პარლამენტში უფრო მეტი ქალი დეპუტატი უნდა იყოს. ამის საპირისპიროდ, უფრო ნაკლებ ადამიანს მიაჩნია, რომ კარგი იქნებოდა პარლამენტში ეთნიკური უმცირესობების და ლგბტ თემის მეტი წარმომადგენლის ყოლა.

რაც შეეხება კითხვას საქართველოში მომხდარ კონფლიქტებზე უმცირესობების ჭრილში, მოსახლეობის აზრით, საქართველოში მომხდარი ომები უფრო მიგვანიშნებს, რომ ეთნიკური უმცირესობები ქვეყნის უსაფრთხოებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ. მოსაზრებები გაიყო იმასთან დაკავშირებით, გვაჩვენა თუ არა მომხდარმა ომებმა, რომ ქართველები უფრო ტოლერანტულები უნდა იყვნენ.

დამოკიდებულებები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ

მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ დამოკიდებულებები ზოგადად დადებითია. უმრავლესობა მხარს უჭერს ეკლესიის განსაკუთრებულ იურიდიულ სტატუსს, ფიქრობს,

რომ ეკლესია მნიშვნელოვანია მათი ოჯახისთვის, წარმოადგენს ქართული თვითმყოფადობის საფუძველს და ხელს უწყობს ზნეობრივი ღირებულებების შენარჩუნებას ქვეყანაში. საზოგადოების მოსაზრებები გაიყო იმასთან დაკავშირებით, ხელს უწყობს თუ არა ეკლესია რუსეთთან დაახლოებას.

დამოკიდებულებები დასავლეთის მიმართ

მოსახლეობა ფიქრობს, რომ ევროკავშირსა და შეერთებულ შტატებს ყველაზე უკეთ შეუძლიათ საქართველოს დახმარება. უფრო მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ ქვეყნის დახმარება რუსეთს შეუძლია, ან სულაც არცერთ ქვეყანას. ეთნიკური უმცირესობები უფრო მაღალი ალბათობით ხედავენ დამხმარეს რუსეთში და უფრო ნაკლები ალბათობით - დასავლეთში.

საზოგადოება ევროკავშირში შემდგომი ინტეგრაციის სურვილს გამოხატავს. ამის მიზეზი რამდენიმეა. ყველაზე ხშირად დასახელებულია ის, რომ ქართველები უფრო მარტივად შეძლებენ ევროკავშირში სწავლასა და მუშაობას და რომ საქართველო უფრო ევროპული გახდება. მონაცემები მიუთითებს, რომ ეკონომიკური სარგებელი არ არის ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ქართველები ევროკავშირთან ინტეგრაციას ემხრობიან, არსებობს კულტურასთან დაკავშირებული მიზეზებიც. ამის მსგავსად, ადამიანის უფლებების დაცვა და დემოკრატიის ხარისხის გაუმჯობესებაც ბევრმა ადამიანმა დაასახელა საქართველოს ევროკავშირში შემდგომი ინტეგრაციის შესაძლო შედეგებს შორის.

ამავდროულად, ხუთიდან დაახლოებით ორი ადამიანი მიიჩნევს, რომ ევროკავშირი საფრთხეს უქმნის ქართულ კულტურას. ამასთან, დიდ უმრავლესობას ნატოსა და ევროკავშირის წევრობას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნება ურჩევნია.

დამოკიდებულებები უახლესი ისტორიის მიმართ

საქართველოში თითქმის ყველა ადამიანი 9 აპრილს ტრაგედიად აღიქვამს. ბევრი ასევე ფიქრობს, რომ 9 აპრილი დადებითი მოვლენა იყო, რადგან საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებაში დაეხმარა. ქართველებს ასევე მიაჩნიათ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლაც კარგი მოვლენა იყო, თუმცა, უფრო ღარიბი მოსახლეობა და ეთნიკური უმცირესობები ნაკლები ალბათობით ფიქრობენ ასე. მოსახლეობა დადებითადაა განწყობილი ზვიად გამსახურდიას მიმართ, თუმცა უმრავლესობა ფიქრობს, რომ 90-იანი წლების კონფლიქტების და 2008 წლის ომის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო.

მოსახლეობას გაუჭირდა გაეხსენებინა კონკრეტული რეფორმები ან ჩავარდნები, როდესაც ვკითხეთ საქართველოში მოღვაწე მთავრობების ყველაზე დიდი წარმატებებისა და წარუმატებლობების შესახებ. ეს განსაკუთრებით შევარდნაძის მთავრობას ეხება. მოსახლეობის აზრით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობის ყველაზე დიდი წარმატება კრიმინალთან ბრძოლა და ეკონომიკური ზრდა იყო, ყველაზე დიდი წარუმატებლობა კი - ადამიანის უფლებების დარღვევა და 2008 წლის ომი. „ქართული ოცნების“ მთავრობის შემთხვევაში ყველაზე ხშირად დასახელებული წარმატება ადამიანის უფლებების უკეთ დაცვა იყო, ყველაზე დიდი წარუმატებლობა კი - სუსტი ეკონომიკური ზრდა.